

# ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

ქ. ზუგდიდი

„6 თებერვალი 2016 წ.“

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტსა და პარტნიორ ორგანიზაციას შორის შეთანხმების შესახებ

წინამდებარე მემორანდუმით შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, შემდგომში „სასწავლო უნივერსიტეტად“ წოდებული, წარმოდგენილი რექტორის თეონა ხუფენიას სახით, და აფხაზეთის №11 საჯარო სკოლა, შემდგომში „პარტნიორად“ წოდებული, წარმოდგენილი დირექტორის მზევინარ გელანტიას სახით, ვითვალისწინებთ, რა ორმხრივ ინტერესს ურთიერთობების განვითარებისა და განმტკიცებისაკენ, მხედველობაში ვიღებთ საგანმანათლებლო თანამშრომლობაში ორმხრივ დაინტერესებას, ვთანხმდებით შემდეგზე:

## 1. მემორანდუმის საგანი

- 1.1 მემორანდუმის საგანს წარმოადგენს „დაწყებითი განათლების“ საბაკალავრო და „მასწავლებლის მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების მიერ პედაგოგიური პრაქტიკის გავლა, სკოლის საექსპერიმენტო ლაბორატორიით სარგებლობა.

## 2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

- 2.1 წინამდებარე მემორანდუმით „სასწავლო უნივერსიტეტი“ და „პარტნიორი“ იღებენ ვალდებულებას, ერთი მხრივ, მოამზადონ ცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნით გათვალისწინებული შესაბამისი მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტი, მეორე მხრივ, ხელი შეუწყონ „დაწყებითი განათლების“ საბაკალავრო და „მასწავლებლის მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს პრაქტიკული უნარ-ჩვევების მიღებაში.

## 3. მხარეთა ვალდებულებები

- 3.1. „სასწავლო უნივერსიტეტი“ საგანმანათლებლო პროგრამების შერჩევისას ითვალისწინებს შრომის ბაზრისა და კონკრეტულად „პარტნიორის“ მოთხოვნებს;
- 3.2. „სასწავლო უნივერსიტეტი“ უზრუნველყოფს:

- სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორთა საჯარო ლექციების წაკითხვას;
- სასწავლო უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო ფონდით ხელმისაწვდომობას;
- სასწავლო უნივერსიტეტის კომპიუტერული ლაბორატორიებით სარგებლობას;
- „აბიტურის საათების“ ფარგლებში საგნობრივი ლექცია-სემინარების წაკითხვას;
- მოსწავლეთა ჩართულობას სტუდენტურ ღონისძიებებში.

- 3.3. „პარტნიორი“ უზრუნველყოფს:

- საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით „სასწავლო უნივერსიტეტის“ სტუდენტთა პედაგოგიურ პრაქტიკაზე მიღებას წინასწარ განსაზღვრული გრაფიკის შესაბამისად;
- შეხვედრებს IX- XII კლასების კონტიგენტთან პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მიზნით;
- მოსწავლეთა ჩართულობას სტუდენტურ ღონისძიებებში ;
- ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში მასწავლებელთა ჩართულობას .

- 3.4. „სასწავლო უნივერსიტეტი“ ვალდებულია იღებს „პარტნიორ“ ორგანიზაციას პრაქტიკის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე აცნობოს პრაქტიკანტ სტუდენტთა რაოდენობისა და პრაქტიკის ჩატარების ვადების შესახებ.
- 3.5. „პარტნიორი“ ვალდებულია ხელშეკრულებით დადგინდეს ვადაში განახორციელოს მომსახურება პედაგოგიური პრაქტიკის გეგმის მიხედვით.
- 3.6. „პარტნიორი“ ვალდებულია პრაქტიკაზე მყოფ სტუდენტებს გამოუყოს პრაქტიკის ხელმძღვანელი და შეუქმნას სამუშაო პირობები;
- 3.7. „პარტნიორის“ მიერ მემორანდუმის და მასში შემავალი პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს პრაქტიკის ხელმძღვანელი;
- 3.8. „პარტნიორი“ უზრუნველყოფს სკოლის ლაბორატორიის ხელმისაწვდომობასა და სარგებლობას სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის.

#### 4. დამატებითი დებულებები

- 4.1. თითოეულ პრაქტიკაზე გაფორმდეს ხელშეკრულება და განისაზღვროს კონკრეტული პირობები;
- 4.2. წინამდებარე მემორანდუმის განმარტებასა და შესრულებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- 4.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან;
- 4.4. წინამდებარე მემორანდუმში მხარეთა შეთანხმების საფუძველზე შეიძლება შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები.
- 4.5. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ რაიმე სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.

#### 5. მხარეთა რეკვიზიტები

თეონა ხუფენია  
 სსიპ შუადასწავლის განყოფილება სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი

მისამართი: თბილისი, ჯანაშიას ქ. 14.

მ. ჭიჭინაძე  
 მზევიანარ გელანტია  
 აფხაზეთის №11 საჯარო სკოლის დირექტორი

მისამართი: ზუგდიდი, თბილისის ქ. №43